სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკოლოგია“
მისაღები გამოცდის/შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები

სპეციალობა - საეკლესიო მუსიკა

მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს შემოქმედებითი ტური სპეციალობაში, ტესტი ინგლისურ ენაში* და საერთო სამაგისტრო გამოცდა.

შემოქმედებითი ტური სპეციალობაში ტარდება ორ ეტაპად.

I ეტაპი (წერა)
აპლიკანტს მოეთხოვება რამდენიმემუხლიანი ქართული საგალობლის აუდიოჩანაწერის მოსმენის შედეგად:
1. განისაზღვროს რომელ საგალობელთა სკოლას განეკუთვნება საგალობელი;
2. დაადგინოს საგალობლის ჟანრი და მისი ფუნქცია ღვთისმსახურებაში;
3. გადაიტანოს მოსმენილი საგალობელი სანოტო სისტემაზე;
4. განახორციელოს ნოტირებული საგალობლის თეორიული ანალიზი (რეფერატის სახით).
(სამუშაო დრო 5 ასტრონომიული საათი).

II ეტაპი (ზეპირი)
მცირე ფორმატის გასაუბრება, რომლის დროს აპლიკანტმა უნდა შეძლოს აკადემიური განვითარებისათვის მზაობისა და მოტივაციის დადგენის მიზნით საკუთარი თავის წარმოჩენა. მან უნდა გამოავლინოს პროფესიული ინტერესები, კერძოდ, მომავალი სამაგისტრო ნაშრომის პრობლემატიკა და თემატიკა.

შეფასება ხდება 100 ქულიან სისტემაში; გამსვლელი ქულა - 61-100.

ინგლისური ენა*
მაგისტრანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი (გამსვლელი ქულა - 51-100) ან რეგისტრაციის დროს გამოაგზავნოს ინგლისური ენის შესაბამისი დონის სერტიფიკატი.